



Handwritten text in a circular stamp:
 3/4
 1940
 3
 № 83



დღილი უოკაჲრის

იყო ომის შედეგად თვე. ვახეთმა „დაბნელებამ“, რომელიც მთვარეზე გამოდის. გადასწყვიტა საიუბილეო ნომრის გამოშვება და თან განიზრახა მოეწყო ანკეტა საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთა შორის. დემიწისაკენ გამოემართა ყველაზე კვალიფიციორი თანამშრომელი. იგი თავისი რადიომფრინავით დაეშვა პირდაპირ პარიზში და მაშინვე დალაღიესაკენ გაეშურა.

— რის გულისთვის ომობთ თქვენ? როგორია თქვენი მიზნები?... — ჰკითხა მთვარის რეპორტიორმა.

დალაღიემ ეჭვით შეხედა მისულს.
— უცნაური კითხვაა: გეტყობათ, აქ უკვე ავადეს კომუნისტური იდეებით.

— როგორ გეკადრებათ... მთვარის ყოველი სალად მოაზროვნე მცხოვრები... — შეეკამათა ინტერვიუერი, მაგრამ დალაღიემ მკვახედ შეაწყვეტინა:

— ყოველმა ფრანგმა იცის, რომ ჩვენ ვომობთ დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, პიტლერიზმის წინააღმდეგ და ხალხისათვის.

— შესანიშნავია... დემოკრატიისათვის... თქვენ, რასაკვირველია, ნებას მომცემთ ვესაუბრო თქვენი ხალხის წარმომადგენლებს?

— რომელ წარმომადგენლებს ჰგულისხმობთ თქვენ? წარმომადგენელი მე ვარ.

— კი მაგრამ... მე მსურდა მესაუბრნა საფრანგეთის ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან.

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ისინი ახლა ციხეში სხედან.

— თქვენ, ალბათ, ვინდათ სთქვათ, რომ ისინი პარლამენტის სხდომაზე არიან?

— თუ თქვენ არ მოიშლით ამგვარ შეკითხვებს, თქვენ კ ჩავამწყვდევთ ციხეში; იქ თქვენ გაიგებთ, თუ რა არის დემოკრატია...

რაკი მინისტრის კილოში მუქარა დაინახა, მთვარის კაცმა განცვიფრებით დაუსტვინა, „უჩინარი“ შეიქმნა და მოუსვა.

სამი წამია შემდეგ იგი, ბუხრის საკვამლე მილით პირდაპირ ჩემბერლენის კაბინეტში ჩავარდა.

— სერ, მე მითხრეს, რომ თქვენ დემოკრატიისათვის ომობთ. მთვარის ვახეთ „დაბნელებას“ სურს შეიტყოს, რა არის დემოკრატია? ჩემბერლენმა ზიზღით შეხედა რეპორტიორს, ხელი გადაუსვა „მის წინ მდებარე ქოლგას, რომელიც მთვარეზედაც არის ცნობილი და რომელიც კეთდება მხოლოდ ინგლისის კოლონიების მასალებისაკენ და თამბაქო გააბოლა.

— დემოკრატია... დემოკრატია... როგორ გითხრათ უფრო მდამბიოთ? დემოკრატია — ეს ინგლისია. სწორედ დემოკრატიის ინტერესებისათვის მივიღეთ ჩვენ კანონი მუნიციპალური არჩევნების აკრძალვის შესახებ, გადავდეთ პარლამენტის არჩევნები, დემოკრატიულად გამოვიკვლიეთ მოსახლეობის მდგომარეობა. სტატისტიკური ცნობებით გამოირკვა, რომ ფასების ზრდა არ შეესაბამება მეწარმეთა მოგების დონეს. ამის გამო იძულებული ვართ შევამციროთ მუშათა ხელფასი.

— კი მაგრამ... ჩვენ წავიკითხეთ, რომ თქვენი სამხედრო ფირმები ექვსას პროცენტ მოგებას იღებენ:

— ექვსას პროცენტს? ჩვენ უნდა გავუსწოროდეთ ამერიკის დემოკრატიას. ექვსას პროცენტს! ამერიკელები ააასს იღებენ!

— მერე და მუშები პროტესტს არ აცხადებენ? არ მოითხოვენ ხელფასის გადიდებას?

— სკადეს პროტესტის თქმა, მაგრამ მათი პროტესტები ჩვენ ძირშივე აღვკვეთეთ ერთგვარი დემოკრატიული საშუალებებით. მეწარმეთა და ტრედ-უნიონების წარმომადგენელთა

შორის დადებულია შეთანხმება. თუ ფასები იზრდება, მოგებებიც სათანადოთ მატულობს და ხელფასი კი სათანადოთ მცირდება, ამას ჩვენ ვუწოდებთ „მსხვერპლთა თანაბრობას ომის წინაშე“.

— რალას ამბობენ ლეიბორისტთა ლიდერები?

— ისინი, რასაკვირველია, ჩვენთან არიან: ისინი ჰემმარიტი დემოკრატები ბრძანდებიან.

— მაგრამ მუშები? ლეიბორისტების დანარჩენი მასა?

აქ მთვარის კაცმა დაინახა, რომ კაბინეტში შემოვიდა ერთი ახმახი ჯენტლმენი, რომელსაც ხელში რეზინის კეტი ეჭირა. მთვარის რეპორტიორი მყისვე უჩინო იქმნა და მოკატუცხლა.

მეორე დღეს მან ინახულა ინგლისის ზოგიერთი სხვა „წარმომადგენლები“ და უბის წიგნაკში ჩაიწერა:

„ომის მიზნებზე აქ არის ამბობენ დარწმუნებული არიან, რომ თუ ამ მიზნების განხორციელებას დაიწყებენ, ომში აღარავინ წავა“.

მთვარის რეპორტიორმა სწორედ ამ ყაიდაზე დასწერა კორესპონდენცია ევროპაში გაფრენის შესახებ და ჩამოსთვალა ყველაფერი, რაც გაიგონა.

რედაქციისაკენ მან მიიღო რადიოელვა, რომელმაც კანკალი აუტყუა მას:

— ეშმაკმა იცის, რასა სწერთ თქვენ. არა მჯერა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდეს. დავალების შეუსრულებლობისთვის გხსნით სამუშაოდან.

ასე სავალალოდ დამთავრდა თავგადასავალი რეპორტიორისა, რომელმაც მოინდომა სიმართლის გაგება ომის შესახებ.

ნარი

ურანგი ჩაქციონერის გასაჭირი

ნახ. ა. კანდელაკისა

საფრანგეთის რეაქციონერმა დემუტატებმა პალატაში განაცხადეს, რომ კომუნისტები მთელ რიგ ქალაქებში აგრძელებენ მუშაობას და პოლიცია ვერ ახერხებს მათ ხელში ჩაგდებას“ (გაზეთებიდან).



— ახირებული ხალხია ეს კომუნისტები: არც კომუნისტურ მუშაობას სწყვეტენ და არც პოლიციას უფარდებიან.

ჩეჩენის გასაჭირი



ინგლისის კაბინეტიმ ყველაფერი რიგზე არ არის. ამ ცოტა ხნის წინათ „მასალი“ გადამდგა სამხედრო მინისტრი ნორ-ბელიში. მთავრობიდან გავიდა პროპაგანდის მინისტრი მაკ მილანი. საზღვაო მინისტრი ჩერჩილი აშკარად ცუდ გუნებაზეა.

საზღვაო მინისტრი უისტონ ჩერჩილი, მიკროფონს უცქერდა სახედაღრეჯილი.

ჯერ სთქვა: „ბრიტანეთი არის მძლე ლომიო, მტერს არ შეუძლია მოგვიგოს ომიო“.

აშკარა ჩავარდნა რომ გააბათილოს, მიმართა ბაქი-ბუქს მიმართა სხვა კილოს.

სამხედრო მინისტრი უღვთოდ გაიწირა, მისი კარიერა უფსკრულს ჩაიძირა.

თვის სახის სიფაოთით მინისტრი საზღვაო, არ მსურს მინისტრთ შორის სხვებში გავანსხვაო,

შემდეგ კი საკითხში ისე ღრმად შესცურდა, რომ მის გულწრფელობა თვით აღარ შეშურდა.

შეაქო ხოტბითა ბრიტანელთ ძალები, მაგრამ მის კილო, მის მღვრიე თვალები

ბედმა მუხანათმა მსგავსად მოდვა კვანტი მინისტრსაც, ვის საქე ეპყრა პროპაგანდის.

მაგრამ იმ მომენტში, მაგრამ იმ წუთებში, მკვეთრად ირჩეოდა იერიით ის სხვებში.

თვისი უძღურება თითონვე ამხილა და იმან საქვეყნოდ სთქვა ენამახვილად:

ნერვიულ სისტემის „აღრევას“ ხატავდა და მწარ პერსპექტივასთვის წინ იხატავდა..

მინისტრ მაკ მილანის განქარდა სახელი, და სხვა გარდასულთა გამოჩნდნენ სახენი...

აშკარად ხატავდა სახის ელვარება, რომ მის გულს მინისტრულს ჰქონდა მღელვარება.

„ვეიშველეთ ქვეყნებო, ნუ იხვევთ თვალებსო, მტრის ძალი სიმრავლით სჭარბობს ჩვენს ძალებსო“.

ისე დაიხლართა დღეს სიტუაცია, თითქოს თვით მინისტრიც ბუზია პაწია.

აჩრდილნი დახლართულ დროთ ბრუნვის შედეგი გაებენ მრავალნი ვინ არის შემდეგი?!

სიტყვას ძლივს, ამბობდა, ხმარობდა გმირობას, ცის ტალღებს მიჰქონდათ მის „ოქრობირობა“.

ო, ეს რა წამოცდა: ამით რას გააწყობს? ამით ღოპ პირაქეთ, მომხრეებს დააფრთხობს?!

თითქოს პოლიტიკა ობობას ქსელია და ყოველ წუთობით შიგ გაბმას ელიან.

ისე დახლართულა დღეს სიტუაცია, თითქო თვით მინისტრი ბუზია პაწია,

და როცა ვუსმენდი მე მისტერ უისტონს, მის სიტყვის აქცენტი ვადარე „ფუის“ ტონს.

ეს სიტყვა ხომ ცხადპყოფს „ლომის“ უძღურებას? ეს ხომ გამოიწვევს ძლიერთა მღურებას?

მინისტრთა საბჭოში ვინც კი შეხიზნულა, ვინაც დღეს დიდკაცობს ხვალ ხდება ის ნულად:

თითქოს პოლიტიკა ობობას ქსელია, და ყოველ წუთობით შიგ გაბმას ელიან.

(მინისტრთა ცხოვრების ფასი შაურია) — ჯერ „კარგად“ დაიწყო, შემდეგ „აურია“.

ან როგორ შეხედავს ამას პრემიერი? და მინისტრს ეცვალა ტონი და იგრი...

სრულიად ანაზღაო, თითქოს არც ენიშნა, გავარდა პორტფელი მინისტრს ჰორ-ბელიშას.

მელუზა

ჭავჭავაძის სააგენტოს ინჟორობაში

„მასალი“ შედგენილია ჭავჭავაძის სააგენტოს ერთ-ერთი რედაქტორის მიერ. უნდა გამოქვიყნებულიყო ს. ფრანგეთის გახეთქებში, მაგრამ მეორე რედაქტორის მიერ უკეთესი „მასალის“ გამოკონების გამო ეს „მასალი“ სიხათლეს ვერ ეღიროსა. ვბეჭდავთ მცირეოდენი სტილისტური შესწორებით.

ნამდვილი დამნაშავე

მოსკოვი. 18 თებერვალი (ჭავჭავაძის საკუთარ ჰორესპონდენტისაგან) როგორც ამ საქმესთან ახლომდგომ სათანადო წყაროებიდან ირკვევა, თურქეთის ტერიტორიაზე მომადარი გამანადგურებელი მიწისძვრაში ბრალი მიუძღვის წითელარმიას.

დიდი ავარი

ფენინგრადი. 18 თებერვალი (ჭავჭავაძის სპეცკორი) მოსკოვიდან 13 კილომეტრის დაშორებით ავარია განიცადა და მთლიანად დაიშხვრა ბაქოდან ბათუმში მიმავალი საბარგო მატარებელი. ავარის დროს დაიღუპა 10.000 მგზავრი. მათ შორის 11900 გერმანელი ოფიცერი. ზარალი გამოურკვეველია.

იზვიათი ქალის აფეთქება

კიევი, 18 თებერვალი. როგორც ჰორ-ნეიშენის სააგენტო გადმოგვცემს, აფეთქება განიცადა დიდ მინდორზე მიწისქვეშ მდებარე

საბჭოთა არსენალში. საიდუმლო წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ არსენალში მოთავსებული იყო მხოლოდ ხანჯლები და ხმლები. აფეთქების დროს სიმშლისაგან დაიღუპა 18 ათასამდე ქალი და ბავშვი.

მორიგი გაწვევა

არხანგელსკი. 18 თებერვალი (საკ. ჰორ.) წითელარმიის გაწვევასთან დაკავშირებით დაიწყო 1933 წელს დაბადებულთა წვერ-ულვაშის პარსვა. ამ ჰასაკის გაწვევა უკვე დამთავრებული იყო 15 თებერვლისათვის.

საქონლის ნაკლებობა

მოსკოვი. 10 თებერვალი (ჭავჭავაძის სპეცკორი) უკანასკნელ ხანებში ძალიან აიწია ყინულის ფასმა. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა ამ დღებში შემოღებულ იქნება საბარათო სისტემა ყინულის შესაძენად.

„მასალის“ ხელში ჩამგდები—მია.



ახრჩობლებულ სახაშეში პატარა მაგიდას უსხდნენ არტელ „სუფრის ღვინოს“ მოლარე კალისტო ფულარინი და მისი მეგობარი აპოლონ ხუხუნი. კალისტო გულმოდგინედ ფრჩხენიდა პურს ხაშით სავსე აორთქლებულ ჯამში, აპოლონი კი წინ წახრილი, ხმადაბლა უამბობდა მეგობარს თავის თავგადასავალს.

— გამიჭირდა ბიჭო, — ამბობდა აპოლონი, — გამიჭირდა. ამდენი უბედურების შემდეგ ვინ მიმიღებს სამსახურში.

— შრომის წიგნაკში გიწერია მაგ ყველაფერი? — ჰკითხა კალისტომ და ხაშს მარილი მოაყარა.

— რად გინდა კითხვა. გელაპარაკები კლდიდან თუ გადმოვარდები უპარაშუტოთ, თორემ გზა აღარ მაქვს მეტი. ო, რა ყოფილა პატროსანი კაცის სახელი! არა, ახლა კი ვისწავლე ჭკუა, მაგრამ რაღა დროს. შავ მუშად ვერ ვიმუშავე ბიჭო. საშუალო სასწავლებელი დამითავრებია და ახლა კირკას მოვიკიდო ხელი? მთელი თვეა ხეტუის ქარხნის დირექტორი მპირდება მივიღებ სამსახურშიო, მაგრამ ვატყობ რომ ყოყმანობს. ერთხელ კიდევაც მითხრა, არ ხარ შენ პატროსანი კაცი და მაგ საქმეზე ვერ გაგიშვებო.

— მაგ კი უოქვამს სწორი!

— ახლა მეტი გზა არა მაქვს, შენ უნდა მიშველო, ბიჭო. რვა წელიწადი ერთ ოთახში ვცხოვრობდით მოწაფეობის დროს. არ გახსოვს ჭადს რომ შუაზე ვიყოფდით და კინოში რამდენჯერ დამიპატიჟინხარ? ძმებათ რომ გავიფიცეთ აღარ გახსოვს?

— კი მაგრამ, მე რა შემიძლია, ჩემო აპოლონ.

— სწორედ შენ შეგიძლია, ერთი პატარა სამსახური გამიწიე ბიჭო. სულ პატარა. შენ შეიძლება ერთი პატარა საყვედური მოგხედეს, მაგრამ შენ ის არაფერს დაგაკლებს. სამაგიეროდ მე სამუდამოდ ამაშენებ.

— გამაგებზე, მაინც, რა გინდა.

— რა, კაცო და გუშინწინ წავიკითხე გაზეთში, ვილაცა კაცს უპოვნია სამასი მანეთი და დაუბრუნებია პატრონისთვის და საქვეყნოდ პატროსან კაცად აცხადებდნენ. მაშინვე გამიელვა გულში ნეტავი მე მეპოვნა მეთქი. ხუმრობ! გაზეთში რომ პატროსან კაცად გამოცხადებენ, მერე წინ დაგიდგება რამე? მიდი სადაც გინდა. სინდისს გეფიცები, ეს სამი დღეა ჭკუაზე აღარა ვარ კაცი. გარეტიანებულებით დავდივარ. სულ იმაზე ვოცნებობ ნეტავი ერთი ფულით გატენილი პორტფელი მაპოვნინა და პატრონთან მიმატანიანა. სად არის! ჯიბრზე ერთი გახვრეტილი კაპიკიანიც კი ვერ ვიპოვე. ახლა ერთი რამ მოვიფიქრე. შენ ხშირად ღებულობ ბანკიდან ფულს...

— მერე? — შეკრთა კალისტო და პირდაფიქნილი მიაცქერდა მოსაუბრეს.

— რას შეგეშინდა შე კაცო. წართმევას კი არ ვიპირობ. რა იქნება, ბიჭო, ჩემისთანა ჭველი მეგობრის გულისთვის ერთი საათით რომ დაკარგო ის ფული. ხელათ მოგიცუნელებ უკლებლად სამსახურში, მივუტან დირექ-

ტორს — შეიქნება ერთი ანბავი, შენ პატარა საყვედური, მე ფართეთ გაზეთში: მოქალაქე აპოლონ ხუხუნა ნახა ფულით გატენილი პორტფელი და იმ წამშივე წარუდგინა პატრონს. ბიჭო შეიძლება ქეც დამაჯილდოვონ. კაპიკი არ მინდა, მთელი ჯილდო შენ, ოლონდ, სახელი ბიჭო, სახელი, მერე მე ვიცი.

— კაცო, ხუმრობ შენ, თუ მართლს ლაპარაკობ?

— რა დროს ხუმრობაა ჩემო ძმაო, ბეწვზე ჰკილია ჩემი ბედი. მეგობარი მყავსო, როგორ უნდა თქვას კაცმა! შე აქ ჩემი გაჭირვებით რაღაცა ხავსს წავეპოტინე იქნება მთლად დალუპავს გადავრჩეთო და ეს, მეხუმრებო!

— არა, კაცო, საწყენათ კი არ მითქვამს. მომხსნიან სამსახურიდან და...

— ვის? შენ? ხა! ხა! ხა! მაგის გულისთვის? ბიჭო შენ იმისთანა სახელი გაქვს, რომ მართლაც რომ დაკარგო ფული სამსახურიდან არავინ მოგხსნის და მით უმეტეს თუ ფული აღმოჩნდა ვინ გაგიბედავს რამეს. გამაკეთებინე ეს საქმე. მერე საქართველოში პატროსანი კაცის სახელი გამივარდება. ჩემი წარსული ვისლა



მოაგონდება. გამაკეთე კაცი. არ გეცოდები შე უსინდისო? ბიჭო ფულს არ გთხოვ და ქონებას, სამი ახურს და პროტექციას. ერთი საათით მათხოვე შენი პორტფელი. ამისთანა პატარა საქმე ძმაკაცის გულისთვის დიდი ამბავია რომ გააკეთო!

კალისტო ჩაფიქრდა. აპოლონი მთლად დაძაბული გეზათ ვასცქეროდა თავის მეგობარს პასუხის მოლოდინში.

კარგახანს სდუმდნენ ორივენი. ბოლოს განაგრძეს ჭამა. აპოლონი ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— ჰო?

— კარგი. ხვალ ბანკში ჩვენი მუშების ხელფასი უნდა მივიღო. სამ საათზე დამიცადე ბაღში შადრევანთან. — მშვიდად უპასუხა კალისტომ, — მხოლოდ პორტფელი იგულე თან. ვითომ შემეცვალა გაიგე?

— რამდენი უნდა მიიღო?

— ოცდაჩვიდმეტი ათასი მანეთი. თუ ძმა ხარ პორტფელი არ გახსნა, ან არ დაკარგო...

— ბავშვი ხომ არა ხარ? შენ გენაცვალე! მაგხელა თანხის დაბრუნებისთვის მგონია მოსკოვის გაზეთებში გამწერონ. არ ავშენდი კაცი! ისევე ძველი ძმა და პირის ზიარება თორემ... არ დავლიოთ რამე? ორი ბოთლი ხუთი ნომერი ჩქარა! — გასძახა ოფიციალტს აპოლონმა.

ჯერ კიდევ სამს ოცი წუთი აკლდა, როდესაც აპოლონი ბაღში მივიდა და შადრევანთან დაუწყო ლოდინი თავის მეგობარს. პაპიროსის წიგნზე ეტყობოდა — ღელავდა და ყოველ გამწვლელს გუნებაში ემუხაფებოდა.

„გაიგეთ, ბიძია, გაიგეთ. პატროსანი კაცი ვარ მაშ! ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი. თუ შნო გაქვს ყველაფერს. მოახერხებ კაცი. დიდი მოქნეული კაცია ეს აპოლონ ხუხუნი, — დაიწყო თავის თავზე მესამე პირით ფიქრი აპოლონმა — ვერ მოახერხა ბიჭმა პატროსანი სახელის აღდგენა!.. მაგრამ ეგდოს გვერდზე. მერე რა თანხით. მე შენ გეტყვი და რაცხა სამასი მანეთით! ორმოციას მანეთს ეხუმრები ბიძია?!..“

დრო ნელა მიდიოდა და კალისტო არსად ჩანდა. აპოლონმა გაიარ-გაპოიარა და დროს მოსაკლავად ფოტოგრაფთან მივიდა ყუთივით უზარმაზარ ფოტოაპარატის კედლები სავსე იყო ზედ მიკრული სურათებით.

კალისტო კიდევ არ ჩანდა. აპოლონს მოთმინება დაეკარგა. ეჭვი შეეპარა. იქნება მოატყუა იმ უნამუსომ. რამდენჯერმე გაიარ-გაპოიარა. კიდევ შეათვალიერა ფოტოაპარატი. ვილაცამ მკლავზე მოკიდა ხელი. მიიხედა. კალისტო.

— უჰ ბიჭო, სადა ხარ აქამდი. გული გამიწყალდა. მოიტანე?

— გეგონა აღარ მოვიდოდი?

— არა! რა მოგივიდა კაცო. რაღაცა ცული ფერი გაქვს.

— ა, მოვიტანე ძმაო მაგრამ... — კალისტომ პორტფელი აჩვენა. — მაგრამ...

— რა იყო ბიჭო. მაჩვენე! რა ძველი პორტფელია კაცო. მომეცი ხელში. ქე მაინც ვნახო რა სიმძიმის არის.

— არ დამკლა ბიჭო. — კალისტოს ხელი უკანკალებდა.

აპოლონმა გაუწოდა თავისი პორტფელი, გამოართვა მისი და ხელში აწონა.

— არ ყოფილა მძიმე. მე მეგონა მკლავს მოწყვეტავსთქო;

— აპოლონ. ხომ იცი...

— რას სულელობ ბიჭო. მაგრე მიკნობ?

— თუ ფიქრობ რამეს ბარე! აქვე დამკალი.

— არ მინდა ძმაო. დამანებე თავი. წაიღე მომცილდი. თუ აგრე წახდები, რათ მინდა რამე შენგან...

— არა, კაცო... წადი ახლა და ხუთის ნახევარზე მოცი. სანამდი გამაქანებდნენ. ამ შენ ცარიელ პორტფელს წავიღებ. ჩავდო რამე შიგ, შემეცვალა თქო რაფერ ვთქვა ცარიელ პორტფელზე. კარგი, პურს ვიყიდი და ჩავდებ. წავედი და თუ ძმა ხარ...

კალისტომ აღარ დაამთავრა და ხელით ანიშნა, აბა შენ იციო.

სხვადასხვა მხრით წავიდნენ. აპოლონმა ილიაში ამოიჩარა პორტფელი და დასტებათ შეკრული ფული გარედან მოსინჯა ხელით.



დედაც გვიყვარს, მამაც გვიყვარს,
თავი ყველას გვირჩევნია,

ეს პროსპექტი, მისი ტკეპნა
მთელ ქვეყანას გვირჩევნია.

„გარედან მაინც შევარო ხელი ამ ოხერს— გაიფიქრა აპალონმა, — ჩემი იყოს ახლა ეს, არ ვიქნები ბედნიერი კაცი? ჩემს ღღინამდენი ფული ერთად არ მჭერია ხელში. რას არ გავაკეთებ ახლა ეს რომ ჩემი იყოს! თუმცა, სწორი რომ თქვას კაცმა სულელი არ ჯარ ახლა მე? ზოგიერთები სიცოცხლეს წირავენ იმის გულისთვის, რომ ამას ნახევარი როგორმე მოიგდონ ხელში და მე იმის გულისთვის, რომ პატიოსან კაცად გამწვრობ გაზეთში ამდენ ფულს ვიხდი ქირად. გადახდა აბა რაა, მე მაქვს ხელში და ჩემი ნება მინდა გადავიხდი და მინდა არა. ვითომ რა იქნება გზა რომ შემეშალოს და მოვუსვა აქედან. მე შენ გეტყვი და ბილეთის ფულს ვერ ვიშოვი. პატიოსანი სახელი! გამწვრონ გაზეთში, თორემ დიდხანს შემრჩება ეგ სახელი“.

რამდენიმე ქუჩა გაიარა აპალონმა და ამგვარი ფიქრებით გართულმა შეუმჩნევლად ამოჰყო თავი რკინიგზის სადგურთან. როდესაც გამოერკვია, თითონვე გაუკვირდა — ეს სად მოვსულვარო.

„რაეა თავისით მომიყვანეს ამ დასაღუპავმა ფეხებმა ამ სადგურში. შეხედე! მატარებელიც ოთხზე და თხუთმეტზე გადის. დედაია, გავგიჟდები კაცი. არ დაიჯეროთ ხალხო! ბედს მიყვარ, ბედს! მამის სულს ვფიცავარ ჩემი

ბრალი არაა, კალისტოს არაფერი უშავს. სამი წელიწადი პირობით. ღირსი ქეა. ამისთანა საქმეს კაცს ვენდობი? მოუსვათ აპალონ დროზე, თორემ მერე გვიან იქნება“.

აპალონმა სწრაფად იყიდა ბილეთი და ილიაში მაგრად ამოჩრილი პორტფელით მატარებელში შევარდა.

* * *

სრულ ხუთის ნახევრამდე კალისტო მოთმინებით ელოდა აპალონს და სულ ქუჩისკენ ეჭირა თვალი. პირველი ცვლის მუშა-მოსამსახურენი უკვე ამთავრებდნენ მუშაობას და კანტორის ოთახებში ისმოდა მზიარული მასლაათი. უმეტესობა სალაროსთან შეჯგუფდა ჯამაგირის მიღების მოლოდინში, მაგრამ სალაროს ფანჯარა დაკეტილი იყო და კალისტო არსად ჩანდა. მოთმინება დაკარგული თანამშრომლები გულმოსულად აკაკუნებდნენ სალაროს სარკმელზე.

- სადაა აქამდე.
- ფული ხომ მოიტანა ნეტავი?
- რას გვიშვება კაცო, ხუთს ოცი წუთი აკლია და სადაა აქამდე.

კალისტო კი ქუჩაში იცდიდა. ამაოდ იცქირებოდა იქით აქეთ, მაგრამ აპალონის ლანდიც კი არა სჩანდა.

მეგონა სინდისის ერთი ნატამალი კიდევ ექნებოდა იმ უბედურს და ისიც არ აღმოაჩნდა— გაუელვა გუნებაში— ეჰ! რაც მოხდა მოხდა. ის რასაკვირველია აღარ მოვა“.

ხელი ჩაიქნია. საათს დახედა. ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა. კალისტომ კიდევ მიმოიხედა იქით— აქეთ და როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აპალონი ალბათ ცხრა მთას იქით გადასაკარგავად მიჰქროდა, მძიმედ ამოიოხრა და საწყობში ჩავიდა.

— მიხაკო, — მიმართა კალისტომ საწყობის გამგეს, — თუ ძმა ხარ ჩვენ რომ დაწუნებული ღვიხის ეტიკეტები გვაქვს ჩერგონციანებს რომ გავს სულ, ერთი, ათი დასტა შემიკარი ფულის დასტებივით.

— კაცო, ის ამ დილას არ გაგიკეთე. ლამაზად რომ შეეკარი. ბავშვისთვის მინდა მოლარეობას თამაშობს და შემკამა იმის გულისთვისო. აღარ გახსოვს?

— ის ერთმა დედმა ბავშვმა გამომტყუა და კიდევ გამიკეთე თუ ძმა ხარ, თორემ ჩემი ბავშვი ტირილით გასკდება, სულ ვპირდები და ვატყუებ. გამიკეთე ახლავე, მერე ამოდი და ჯამაგირი მიიღე. იქ ამომიტანე ისიც, აქ ვეღარ ჩამოვალ. ისედაც თხუთმეტი წუთით დავაგვიანე ჯამაგირების დარიგება.

ა. ბელიაზვილი



— გიგი ბეთანელის შესახებ ადგილკომში საკითხი უნდა დაისვას. ხელის დაფარება შეუძლებელია. — ჩაილაპარაკა ადგილკომში მერი საცხარაცხაშილიმა.

— რა ბრალდებას უყენებთ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— მე კი არ ვუყენებ, უყენებენ.

— ვინ უყენებს?

— მაკრინემ იცის.

— აგრე ლაპარაკი როგორ იქნება. თუ პირადათ არ იცით, სხვის მაგივრად რატომ იწუხებთ თავს.

— ვიცი, მაგრამ მაკრინემ უკეთ იცის. მაკრინეს თითონ მოუკრავს ყური. ასეთი საქციელი აუტანელია ახალი ადამიანისათვის. ჩვენ კი მოწინავედ ვთვლიდით, ჩვენ კი წასაბაძად მიგვაჩნდა.

— მაინც რა საქციელი?

— ძველი ტრადიციული ჩვეულების გამოდევნება.

— რა ჩვეულების?

— აუტანელია! ორ სკამზე ზის! წელიწადში ახალ წელიწადს ორჯერ ხედება.

— ოო! ეგ კი ოპორტუნისტული საქციელია. მართალია გვიან პატივს ვსცემთ, მაგრამ მაგას მაინც ვერ ვაბატიებთ. კრებას მოვიწვივ. საჯაროდ დავამუშავოთ. — დაეთანხმა ადგილკომის თავმჯდომარე.

* * *

მერი საცხარაცხაშილიმა აღარ აცალა მაკრინესთან მოლაპარაკებას და საქმის დაწვრილებით გამორკვევას, რადგან თვით მაკრინე იმ დღეებში გრიბით იყო ავად და სამსახურში აღარ გამოცხადებულა. — დასწერა და ადგილკომის თავმჯდომარეს გადასცა ასეთი შინაარსის განცხადება.

„საბჭოთა მოქალაქეს, და მით უმეტეს, თუ ის თავის კოლექტივში მოწინავე წევრად ითვლება, მოეთხოვება, რომ ახალი ადამიანი იყოს, მოეთხოვება შემოიბერტყოს წარსულის მანერ ტრადიციები. მე სახეში მყავს ამხანაგი გიგი ბეთანელი. ის ცალი ფეხით ჩვენთან არის და ცალი ფეხით კი წარსულ დრომოკმულ ქვეყანას ებლაუჭება. ის ორ სკამზე ზის. ეს გამოი-

ხატება იმაში რომ, როგორც ამხანაგმა მაკრინე ფხალაძემ განაცხადა, წელიწადში ორჯერ ხედება ახალ წელს. ორჯერ დღესასწაულობს ახალი წლის დაწყებას. რით უნდა აიხსნას ეს საქციელი? წელიწადში ხომ ერთი ახალი წელია? მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ამხანაგი გიგი არ ღალატობს ძველ ჩვეულებას — იგი ახალ სტილსაც უხდის თავის ვალს და ძველსაც თავის უფლებებში სტოვებს.

ვინც არ უნდა იყოს ადამიანის საქციელის შეფასება ჩვენგან მაინც ერთი საზომით უნდა ხდებოდეს. მე მოვითხოვ საჯაროთ იქნეს დაგმობილი გვიან საქციელი და მიფუთითოთ დამნაშავეს მის გამოსწორებაზე.

მერი საცხარაცხაშილი“.

* * *

ძლივს მოასწრო ადგილკომის თავმჯდომარემ ამ განცხადების წაკითხვა, რომ იქვე

ნახ. კანდელაკისა.

ალახნის (სიღნაღის რაიონი) მტა-ის კლუბი უბატონოდ არის მიტოვებული.



დაიწუნა

რამისორი თხა: — ტყუილია, ბატონო კიკინა, ისე ცივად კითხულობს მაგ მონოლოგს, რომ ჰამლეტის როლში ვერ ივარგებს.

ადგილკომის თავმჯდომარის კაბინეტში გაჩნდა გიგი ბეთანელი.

— საწვევო ანარიცხები მოვიტანე! — განაცხადა გივიმ დამხვდურებთან მისალმების შემდეგ.

მერიმ, რომელმაც ოთახიდან გასვლა ვერ მოასწრო, გვიან შეხედვაზე უხერხულობა იგრძნო.

ადგილკომის თავმჯდომარემ გრიგოლ ნაღარელმა ცეცხლზე ნავთი გადაასხა და იქვე გადაუტრა გვიან სიტყვა მერის განცხადებასთან დაკავშირებით.

— როგორ შეხვდით მეგობარო პირველ იანვარს?

— იშვიათი ხალისით და ბედნიერებით.

— ალბათ იმიტომ არის, რომ წელიწადში ახალ წლის ერთხელ შეხვედრით არ გმაცოფილდები! მაინც რამდენჯერ ხედები ახალ წელს?

— ორჯერ! არც მეტი, არც ნაკლები!

მერის მოეშვა. „თვითონაც არ მალავს. მასადამე, ჩემგან წაყენებული ბრალდება სწორზე სწორია“ — გაიფიქრა მან.

— რით ამართლებ ორჯერ შეხვედრას? ჩვენც გვასწავლე, რომ შემდეგ შეგნებულად წავბაძოთ.

— აუცილებლობით: ჩემთვის ახალი წელიწადი ყოველ წლივ ორჯერ დგება: ერთხელ საწარმოო გეგმის ნადრეგად შესრულების დროს და მეორედ ახალი საერთო კალენდარული წლის დაწყების დროს. სტახანოველებს საერთოდ ასე გვემართება და ჩვენც ორჯერ ვდღესასწაულობთ ახალი წლის დაწყებას. წავგზავნეთ! არც თქვენ იზარალებთ.


მერის სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. გრიგორმა მერის განცხადება, რომელიც თითებში შერჩენოდა ხელში პრესივით ჩაბლუჯა და გვიან გასვლისთანავე ატომიურ ნაფლეთებად აქცია.




1. მოწამვლის ნიშნები აღმოაჩნდა. სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს.
— ამ კვირაში ვერ დაგვხმარებთ, მიმართეთ გადაუღებელ დახმარებას.— იყო პასუხი.



2. გადაუღებელ დახმარებას გამოუძახეს, საიდანაც ექიმის როლში სტუდენტი პრაქტიკანტი გამოგზავნეს.
— მდგომარეობა სერიოზულია. საჭიროა ექიმის გამოძახება.— ნამუსიანად განაცხადა გადაუღებელი დახმარების ექიმმა.




3. რაიონის ეჭიშვინე გამოუძახეს, რომელსაც ჯორ დღეს ამაოდ ელოდნენ.



4. ამასობაში ავადმყოფი გარდაიცვალა.



5. სად არის ნიკო მკურნალსვერელირსაშვილის ბინა?— შეეკითხა მოხუც დედაკაცს გამოცნადებული რაიონის ექიმი მეშვიდე დღეს.
— ვაკის ახალი სასაფლაო ზომ იცი, შვილო, იქ გასწავლიან.— უპასუხა სახლის შესავალთან შეხვედრილმა უცნობმა დედაბერმა.
— მისამართი შემშლია, გაიფიქრა ექიმმა და პაციენტის „ბინი-საკენ“ გაეშურა.



6. ჩვენც შენდობას უთვლით ნიკო მკურნალსვერელირსაშვილის ამ ქვეყნიდან უდროოდ განტევებულ სულს, მაგრამ საინტერესოა შეუნიდობენ თუ არა ახლადარჩეული საბჭოები რაიონის ჯანგანყოფილებების მესვეურებს ასეთი „სტილით“ მუშაობას?



ჩვენი მშენებლობის ადგილკომის თავმჯდომარეს—ტიტიკო ტაბიძეს აჩქარებული ხასიათის კაცად სთვლიან. შეცდომების გამო აგონებდნენ და ჭკუას ასწავლიდნენ, მაგრამ ამასწინად ტიტიკომ ისეთი ახირებული საქმის ჩადენა მოიწადინა, რომ ძირფესვიანად შესცვალა ნაცნობების შთაბეჭდილება თავის თავზე.

აი როგორ იყო: მშენებლობის უფროსი ყარამანი მაჩიტაძე კარგახანია რაც პანიკამოდებული გაჭკვივის კადრების უყოლობის შესახებ. ყველაზე მეტად ინჟინერ-ელექტრიკოსის არყოფა აწუხებს და ლამის არის მთელი ქალაქი აიკლოს.

ამასწინათ მშენებლობაზე ვიღაც ახალგაზრდა, გარეგნულობით კარგი შეხედულობის კაცი მოვიდა და ერთერთი ჩვენი თანამშრომელი იკითხა.

— არ სცალიან, მუშაობს.—უთხრა მას მშენებლობის უფროსმა.

— ბოდიშს კი ვინდი, მაგრამ აუცილებლად უნდა ვნახო, მე ინსტრუქტის ამხანაგი ვარ მისი, ერთად დავამთავრეთ, შემდეგ მოსკოვში გზაუბობდი, დიდი ხანია არ მინახავს იგი, გუშინ ჩამოვედი და უნდა ვნახო.

— თქვენ ინჟინერი ხართ? — ალტაცებით შესძახა ყარამანმა.

— დიახ.—უპასუხა ახალმოსულმა.

— ჩინებულია, ელექტრიკოსი ხომ არა?

— დიახ...

— საუცხოოა, მობრძანდით, ეხლავე დაგუდახებთ, სცალიან, თავისუფალია.

შემდეგ, ვიდრე უცნობის ნაცნობს დაუძახებდნენ ყარამანი შაქრად დადნა:

— იცით რა, ჩემო კარგო, თქვენ აქ სამუშაოდ გადმოხვედით?

— დიახ,

— უკვე დაკავებული ხართ?

— თითქმის, გუშინ მქონდა მოლაპარაკება ერთერთ წარმოებასთან.

— რამდენს დაგპირდნენ თვითურად?

— ეგ რა საკითხავია, ალბათ რვაასს, როგორც სხვაგან.

— იცით რა, ჩემო კარგო, მე თქვენ აქედან ვერ გავიშვებთ. ათასორასამდე შემიძლიან მოგკეთ. ნუ მაწყენინებთ.

— კი, მაგრამ მე უკვე მოლაპარაკებული ვარ სხვა წარმოებასთან...—დაიჟინა უცნობმა.

— ათასხუთასი რომ მოგკეთ?

— ჩემთვის ფულს მნიშვნელობა არა აქვს...

— საკვირველი კაცი ყოფილხართ!—თითქმის გაბრაზდა ყარამანი.—მაშ რასა აქვს მნიშვნელობა?!

— დამოკიდებულებაა მთავარი, ფული კი, თავისით მოვა. რაც შეეხება თქვენთან მუშაობას, ეს, მე შეთავსებით შემიძლიან მოვახერხო. ახალგაზრდა კაცს სამშაგი შრომაც ვერაფერს დააკლებს.

— ადვილი სამსახურია, —ჩააცვივდა მშენებლობის უფროსი—მე არ გაწყენინებთ.

უცნობმა ნაცნობი ნახა, მოიკითხა, ესაუბრა, ყარამანს აღუთქვა, რომ შეთავსებით მასთანაც იმუშავებდა და ასპროცენტისი დაპირება დაუტოვა.

* * *

ნახევარი საათის შემდეგ ყარამანი მაჩიტაძის კაბინეტში ვიღაც თმაგაჩიჩილი კაცი შევიდა. დაღლილი იყო, რიტმიულად ხვნემოდა.

— ბოდიში,—უთხრა მან ყარამანს, თქვენ, რაიმე შესაფერისი სამუშაო ხომ არ გექნებათ?

— რამდენიც გნებავთ,—თვალები გაუბრწყინდა ყარამანს,—პროფესი? — ინჟინერი ვარ.

— ელექტრიკოსი ხომ არა—გაოცებით აღმოხდა მშენებლობის უფროსს.

— დიახ, თავისუფალი ვარ, სამუშაო თუ გაქვთ, შემიძლიან...

— ჩემო კარგო, ძვირფასო! — ბავშვივით აცუნცრუქდა ყარამანი—ჩინებულია, დიდებულია! მაგრამ...—შეჩერდა ყარამანი,—ამ ერთი საათის წინ უკვე მოველაპარაკე ერთ ინჟინერს. ის დამპირდა, რომ ხვალიდან შეუდგება მუშაობას. ხელფასზეც შეეთანხმდით.

— იცით რა გითხრათ...—თქვა და აღარ დაამთავრა თმაგაჩიჩილმა.

— ბრძანეთ.—სიტყვა გაუგრძელა ყარამანმა.

— კარგს კი იზამთ, თუ იმ ინჟინერს უარს ეტყვიან. მე ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვიქნები. მაინცდამაინც დიდი პრეტენზიის კაცი არა ვარ.



ყარამანმა კინაღამ ორივე თვალი დაუკოცნა უპრეტენზიო ინჟინერს, სიხარულით ისე მაკრად დაჰკრა მხარზე ხელი, რომ თვრამეტი გრადუსით მოხარა წელში. მერმე მეორე დღის 4 საათისათვის დაიბარა და კმაყოფილებით დაიწყო ბოლთის ცემა.

* * *

მეორე დღიას ყარამანს ადგილკომის თავმჯდომარე ტიტიკო ტაბიძე ეახლა და მოახსენა.

— ყველაფერს იღბალი უნდა. თქვენ რომ გუშინ ინჟინერმა პირობა მოგკათ, ავად გამხდარა, აი წერილი.

ყარამანმა წერილში ამოიკითხა:

„პატივცემულო ამხანაგო ყარამანი!

ამ ბარათს ის ინჟინერი გწერთ, რომელმაც ამ მოკლე ხანში მუშაობა უნდა დაიწყოს თქვენს მშენებლობაზე. საქმე შემდეგშია: მე წუხელ ძალიან ავად გავხდი და ამ დილას ორმოცამდე ამიწია სიცხემ. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ძალიან მიჭირს ფული. სულ რამოდენიმე მანეთი დამჩა. იმედი მაქვს დახმარების სახით ან მომავალი ხელფასის ანგარიშში სამასიოდე მანეთს მომაწვდით“...

წერილს თან ახლდა განცხადება სამუშაოზე მიღების შესახებ.

— საოცარია! — ხელმძღვანელური რიხით წამოიძახა ყარამანმა,—ფულს თხოულობს. ვის

უნდა გავუგზავნო ფული? ჩემი თანამშრომელია, ვიცნობ, მიცნობს—თუ რა არის.

შემდეგ მოზრდილი ასოებით დააწერა წერილს: „არაფერი არ შემიძლიან!“

ტიტიკომ ვერ მოითმინა:

— ეს უკანანობაა, ამხანაგო ყარამანი. ეს კადრების შეუფასებლობაა. თქვენ თუ არ შეგიძლიათ, მე გამოვუწერ დახმარებას ადგილკომის თანხებიდან. წავალ, შევამოწმებ და ფულსაც მივუტან.

— არც ერთი კაპეიკი!—დაუყვირა ყარამანმა.—მე შენ თანხების განიავების უფლებას არ მოგცემ. ვინ იცის გადაიტანს თუ არა ავადმყოფობას ის ვიღაც ინჟინერია. შენ კი გინდა უმიზნოდ გადაყარო სამასი მანეთი.

ველარაფერი აწამა ტიტიკომ. წერილით ხელში ხმამაღულღებლივ გამოვიდა ყარამანის კაბინეტიდან და პირდაპირ ავადმყოფ ინჟინერის ბინისკენ გაემშურა.

ყარამანი კი კმაყოფილებით ჩაეშვა სავარძელში და მეორე ინჟინერის მოლოდინში ულვაშის გრეხას შეუდგა.

* * *

მესხეთე საათი დაიწყო და კიდევ არჩანდა ის თმაგაჩიჩილი ინჟინერი. შემდეგ ვიღაცამ მოაკაკუნა კარებზე.

— ის არის! — სიხარულით წამოიბუტბუტა ყარამანმა და მოსულს შემოსვლის ნება დართო...

ყარამანის კაბინეტში ადგილკომის თავმჯდომარე ტიტიკო ტაბიძე შემოვიდა გაფითრებული, თავჩალუნული, სამსახურიდან სამართლიანად მოხსნილ კაცს ჰგავდა. მან ახალი წერილი გადასცა ყარამანს და სკამზე ჩაიკცა.

წერილში ეწერა:

„ამხანაგო ყარამანი!

მივიღე თქვენი პასუხი ჩემს წერილზე. მადლობელი ვარ. ხომ გახსოვთ ჩემი პირობა: დამოკიდებულების შესახებ. გამოგიტყდებით, რომ მე ავად არ ვახლავართ და არც თქვენი სამასი მანეთი მჭირდებოდა. უკვე დავიწყე მუშაობა იმ წარმოებაში გუშინ რომ მოგახსენეთ. ამასთანავე შეგაწუხებთ და შეგატყობინებთ, რომ გუშინ რომ მანდ ჩემს მერმე ინჟინერი გახლდათ, ვერც ის იმუშავებს თქვენთან, რადგან იმ კაცს ინჟინრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ის იმ წარმოების ბუღალტერია, სადაც მე აშკამად ვმუშაობ და იმიტომ მოგატყუილათ, რომ თქვენ ჩემი ვადაბირება არ მოგეწყობო. ბოდიში შეწუხებისათვის“...

ყარამანი. ტიტიკოსი რომ არ შერცხვენოდა, ულვაშს დაივლევდა სიმწარისაგან. ნერვიულად ისვამდა ხელს თავზე და პირდაღებული დაჰპურებდა წერილს.

ტიტიკო თავჩალუნული იყო და ფიქრობდა იმის შესახებ, თუ ყარამანის წინადაუხედაობით, ინჟინერ-ელექტრიკოსის ძებნაში რამდენი სამასი მანეთი უნდა იხარალოს იმათმა წარმოებამ.

მოსალოდნელი შემთხვევა


ფოთის სასამართლო-პროკურატურის საშერო თავდაცვის წრეწარაფერს აკეთებს.



- რამ შეაშფოთა ჩვენი თავდაცვის წრის სელმძღვანელი?
- თავდაცვისათვის ემზადება.
- განგაში იწყება?
- არა, თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოდან მოდიან მუშაობის შესამოწმებლად...

ვინ ვის ბაძავს?

სოფ. ოქტომბრის (ზუგდიდის რაიონი) კოლმეურნეობის თვითმომქმედი მომღერალთა გუნდი და შაქარა კოლმეურნეობის სელმძღვანელობის დაუღვერობის გამო.



- ბაბუავ, ძია კირილე და მისი ამხანაგები ბაძავენ ჩვენს რადიოს, თუ ჩვენი რადიო ბაძავს იმათ?
- როგორ შვილო?
- როგორ და მათაც ვერ ერთ კვირას იმღერეს, შემდეგ სამ თვეს ხმა არ ამოუღიათ.

ს ა ყ ვ ი ლ უ რ ი

ქუთაისის მთავარ საავადმყოფოს პალატებში ვირთავები თარეშობენ.


გრ. ივ-ლი



— უბედურობა ბირდაპირ: შენს სახლში ექიმები სხვებს მყურნალობდნენ და შენ კი უურადლებას არ გაქცივდნენ...

ბუნებრივი მომსახურება

ფოთის ქალაქის საბჭოს კომ. განყოფილება
ბის საბარკმახეროში წვიანაშობის



— რატომ ეტანება ამდენი ხალხი ამ საბარკმახეროს?

— სანიმუშოა და იმიტომ: სხვაგან რომ ხუთი მანეთი ღირს — აქ უფასოა თავის დაბანა.

ქალი მოიხარბს

სოფ. მიქელეფონის (ვანის რაიონი) კოლმეურნეობის მუშა საქონელი ღია ცის ქვეშ არის მიტოვებული.



— ახლაც არ დაიჯერებ, შვინდავ, რომ ტრაქტორს ჩვენთან შედარებით დიდი უბირატესობა აქვს?

— შარათლია, ძმობილო, ის სამოც გრადუსს უწინვამიც რომ დაავდო — ხმას არ ამოიდებს.



ერთგვარ შეუსაბამობას აქვს ადგილი ჩვენი დიდებული ქალაქის ცხოვრებაში.

ერთი მხრით ინდუსტრიულ ფონზე გაშლილი სოციალიზმის საუცხოო მონაცემები—ფაბრიკა-ქარხნები, მუშათა ახალი უბნები, მშენიერი შენობები და ასე შემდეგ; ხოლო მეორე მხრით, რაღაც ნაკლებად ესთეტიკური; უფერო-წყვეტილი წვრიღანები, არასასიამოვნო სტანდარტული დეფექტები, რაც, ასე ვთქვათ, ყველა პროვინციულ ქალაქს ახასიათებს და ქუთაისს აღარ შეეფერება.

აი მაგალითად:


„გრანდ ჰოტელი“

არსებობდა გრანდიოზული აქ არაფერია. ჩვეულებრივი ორსართულიანი შენობაა. ეს „გრანდ“ უფრო პრეტენზიისათვის მიუთვისებიათ, ვიდრე ნატურალური გაგებისათვის. უცნაური თვისების სასადილოა „გრანდ ჰოტელი“ აქაურებს ასეთი ჩვეულება აქვთ:

ორ წელიწადში ერთხელ მას რემონტისათვის დაჰკეტავენ. შემდეგ ეწყობა ტრიუმფალური გახსნა.

მშენებრად მორთული სასადილო დარბაზი თოვლივით თეთრი საფარებით გაწყობილი მაგიდები, იქვე ფიგურებიანი ხელსახოცები, ჯაზ-ორკესტრი, სიცილი და მხიარულება. რაც მთავარია—სურნელოვანი საჭმელები. ბორშისა-კი ისეთი სუნი სდის, უკეთესს ბუნებაში ვერ მოსძებნი. სასადილოს მსახურები თავს გველებიან, ბუფეტში ფართოდ იღიმება თეთრით მორთული მსუქანი ადამიანი...

— პატივცემულო ოფიციატო, — ეუბნებით თქვენ, — მე შეგიკვეთე ერთი მწვადი. აქ მგონი ორია!



— როგორ გეკადრებათ, მანდ სწორედ ერთია... ხომ არ მიირთმევთ შემწვარ ბულბულებს, ან ტოროლას ჩახხბილს?

— გმადლობთ. იქნებ ოფოფი გაქვთ მრგვალად მოხარშული?

— რამდენიც გნებავთ.

უცხო ქალაქიდან ჩამოსული მოიხიბლება და იქ, თავის ქალაქში, სადმე ომსკში, ან კალუგაში სასადილოში ჩხუბს ასტეხს. იტყვის: „აი, მე ვიყავი ქუთაისში, იქ არის სასადილო პირდაპირ გენიალურ კატელეტებს აკეთებენ. კულტურული მომსახურება, შემწვარი ბულბულები, ჯაზი და ასე შემდეგ... აქ კი არაფერს ვაგვს სადილები“.

ცხადია, ჩვენმა „უცხოელმა“ არაფერი იცის

იმის შესახებ, თუ რა სწრაფად იცვლება სიტუაცია ქუთაისის „გრანდ ჰოტელში“.

გადის ერთი, ან ორი თვე ტრიუმფალური გახსნის შემდეგ.

სასადილო მოიღუშება, მაგიდებზე საფარები აქრელებულია წითელი (ღვინის) და ყვითელი (ბორშის) ფერებით. ბორშის სუნი მოსვლელს კარებში შეაკრთობს. ბუფეტში წვერმოშვებული, დაღვრემილი ადამიანი. ოფიციატები ჭუჭყიანი ხალათებით.

— შენ ეი, ოფიციატ! მოდი აქ! კაცო, მე ორი მწვადი შეგიკვეთე, აქ კი ნახევარიც არ არის. თანაც შეხრუჯულია.

— რა დიდ გულზე ხართ, — შეიგოტივით იგი, — სწორედ ორი გახლავთ. თუ არ მოგწონთ იჩივლეთ. შეხრუჯულია? არცკი მოგეწონებათ!..

ბელეფონი

ადამიანის გამოგონებათა შორის ტელეფონი ერთერთი უკეთესი მოიხილეს გამოგონებაა. რაც მთავარია, იგი ხელმისაწვდომია ყველასათვის. უცნაური შედარება მოგდით თავში: პუშკინს მაგალითად, რომ დასჭირებოდა გაეგო თავისი სხვა უბანში მცხოვრებ მეგობრის ან ნათესავის ამბავი, უნდა მიეცა განკარგულება მეტლისათვის, უკანასკნელს უნდა შეეხებოდა ცხენი, ეტლში უნდა ჩამჯდარიყო მსახური და წაეღო პოეტის პაკეტი. ორ საათში გამგზავნი პასუხს შეიტყობდა. ახლა? ახლა თვითვე, ასე ვთქვათ, ჩხერიმერისპირელს, ან რომელიმე დელისპირელს შეუძლია აიღოს ყურმილი: „მომეცით, ესა და ეს ნომერი... ახ, ეს თქვენა ხართ? იცით რა, თქვენ ბითური ხართ. დიდხანია მინდოდა მეთქვა... მე ვინა ვარ? ხი, ხი, ხი... ეს სულ ერთია“...

ჩვენ გვეინტერესება ტელეფონით სარგებლობის მამაპაპური წესი, რაც ქუთაისში ადამიანთა ერთ ნაწილში შემორჩა. ეს ნაწილი ყველაჟერს გააუბრალოებს. უკეთ რომ ვთქვათ გააბიბრებებს, ტელეფონსაც არ დაინდობს, ზედ შეჯდება და „აჟუს“ დაუძახებს...

არსებობს აბონენტის გამოძახების ასეთი „წესი“:

— ერთი, ქალიშვილო, შემეერთე ბარნაბიას!

— არ ვიცნობთ.

— რას ქვია არ იცნობთ! ბარნაბიას მთელი ქუთაისი იცნობს არტელ „ახალი წყაროს“ გამგეა... გეტყობათ არაფერზე მანდ...

არსებობს გამოძახების უფრო ორიგინალური „წესი“:

— ერთი, ქალიშვილო (ამ „ქალიშვილს“ შეიძლება ორი შეილისშვილიც ჰყავდეს, — მაგრამ ეს წვრიღანებია), იცი რა, შემეერთეთ?

— არა.

— აზიური სასადილო რომ იყო ხომ იცით?

— კი.

— აი იმის პირდაპირ ახალი ქიშკარია, რომ შეხვალთ მარცხნივ და მარჯვნივ არტელია... შემეერთე მარცხნით რომ არტელია. რაო? როგორ თუ ვერ შემეერთებთ... არაფერზე მანდ?


ან ასეთი რამ:

— მომეცით ჯანგანი. **ჩემი წესი**
— ჯანგანი? **ხიზლი მოთქვა**
— ჯანგანი — მეთქი!... არაფერზე გეტყობათ!

ტელეფონის სადგურის მუშაობა ბევრს ასე აქვს წარმოდგენილი: ფართო განათებული დარბაზი, რბილი სავარძლები, სწრაფად დახტიან ულამაზესი ქალები (უმთავრესად 18—19 წლისანი), იქვე საარშიყოდ სპეციალურად მოსულან თმახუჭუჭა ვაჟები, არის არაფერზე, სიცილ-კისკისი... აბონენტებისათვის არ სცალიათ... ნეტავი მათ!

ქუთაისის სახლი

ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს ორი ოპერაცია: ან სიტყვა კულტურის მნიშვნელობა უნდა შეიცვალოს, ან ქუთაისის კულტურის სახლს უნდა შეეცვალოს სახელწოდება, სანამ ქვემოთაღნიშნული მოვლენა არ შეიცვლება სხვა მოვლენით.



უცხო სიტყვათა ლექსიკონებში სიტყვა „კულტურა“ ასეა განმარტებული: „დამუშავება, მზრუნველობა“.

ამ განმარტების მიხედვით ქუთაისის კულტურის სახლი შეიძლება კიდევ ამართლებდეს სახელწოდებას. დამუშავებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „მზრუნველობა“ ადამიანის მიმართ აქ დიდ პატივშია.

თქვენ შედიხართ დარბაზში სპექტაკლის საყურებლად კალოშებით, პალტოთი, ნაბღითა და ფაფახით. თუ ქოლგა გაქვთ — ქოლგითაც, თუ ხურჯინიც გაქვთ — ხურჯინითაც.

— უკაცრავად, რაღაც უხერხულია ამხ. გამგე, პალტოთი და ხურჯინით... უკულტურობა გამოდის. — ამბობთ თქვენ.

— თქვენ კულტურაზე ცუდი წარმოდგენა გქონიათ, ყმაწილო კაცო... თქვენის აზრით უმჯობესია ამ გაყინულ დარბაზში შევუშვათ მაყურებელი ცარიელა კოსტუმებით? მე რე თქვენ არჩენთ მათს ცოლშვილს?

— მე ვფიქრობ დარბაზი უნდა თბებოდეს. — სულერთია, პალტოთი მოგიხდებათ შესვლა. გამოხვალთ — გაცივდებით.

ქართული ლინ-ქუანი

ქართული
ლინ-ქუანი

— სადა ხარ კაცო, ამდენხანს?— შეუყვირებდა ხოლმე ახალნათხოვი მეუღლე დაუს, როცა ის საძახტურიდან საღამოს გვიან დაბრუნდებოდა სახლში.

— ცოტა შემავიანდა, შენი ჭირიმე, ნუ გეწყინება.— ეტყოდა ხოლმე მეუღლეს დაუ და როცა საღამოსოდ წაიწვედა კვლავ მოესმოდა ცოლის საყვედურით აღსავსე სიტყვები.

დაუს მტკიცება, რომ ის ნამდვილი სპეტაკი გრძნობებით არის გამსჭვალული თავის მეუღლის მიმართ, რომ მას უყვარს ის, უყვარს ოჯახი და სრულებითაც არ ფიქრობს სხვაში გასცვალოს იგი, რომ ის უკვე ხანში შესულია, შეიღების პატრონი, რომელთათვისაც ზრუნვა მშობელთა საპატიო ვალდებულებაა და სხვა, კესოზე არავითარ გავლენას არ ახდენდა. კესო იტვიანობდა. იგი თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი ქმარი დაეჭირა ღალატში. განგებ მიუჩინა თავისი ამხანაგები, რომ თუ კი რაიმეს მოკრავდნენ ყურს, იმ წამშივე ეცნობებოდათ კესოსათვის. უშინჯავდა ქმარს ჯიბეებს, პორტფელს და სხვა— იქნებ ქალის წერილი აღმოუჩინო, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ რჩებოდა.

ერთს საღამოს დაუ ღვინით შეზარხოშებული დაბრუნდა შინ, პორტფელი ტახტზე ისროლა და ტანთგაუხდელი მიწვა.

— ესლა მაკლდა კიდევ, ლოთობაც დაიწყე!— წამოიყვირა კესომ და ის იყო ქმრისათვის უნდა გაემართა ოჯახური სცენა, მაგრამ დაუს უკვე ღრმად ეძინა.

კესომ ძირს დავარდნილი პორტფელი საწერ მაგიდაზე დასდო, დაბნეული ქაღალდები აკრიბა, როგორც ყოველთვის ეხლაც გასინჯა და...

„ჩემო ძვირფასო დაუ!

შენმა წერილმა ოდნავდაც ვერ შეარყია ჩემი შენდამი უდიდესი ნდობა. შენ გინდა გამომცადო გენდობი თუ არა და ვარ თუ არა სრული დარწმუნებული შენს ნამდვილ სპეტაკ სიყვარულში. გაძღვე, ჭირიმე, პატიოსან სიტყვას, რომ შენთან, არა თუ ბოტანიკური ბაღის გვირაბში, არამედ თუ გინდ აფრიკის გაუვალ ტყეებშიც ვიყო, მაინც არ მეშინია. მე სრული დარწმუნებული ვარ ჩემს ერთგულებას ბოროტად არ გამოიყენებ. გინდა გამოსცადო ჩემი გულადობაც, შემოქალაქი თუ არა შემოსვლა გვირაბში საღამოს 8 საათზე? ამაშიც ეჭვი ნუ გეპარება, მელოდე...

სამუდამოდ შენი: აგლაიტა.“

აი ამიტომ იყო თურმე, რომ ამ ბოლო ხანებში ასე გვიან მოდიოდა ხოლმე სახლში. მისი ყოველდღიური ალერსი და მოფერება და მისი დარიგებები მხოლოდ პირფერობა ყოფილა მართო. ჩემო მეუღლევ ეგ იყო შენი ფიცი და ერთგულება?... აგრე გწამს ოჯახი, ასე წარმოგიდგენია ნამდვილი მეგობრობა?... მაშ კარგი, მე ქალი არ ვიყო, თუ ეს შეგარჩინო.— დაემუქრა კესო ქმარს და საშავიეროს გადასახდელად მოემზადა.

მეორე დღეს დაუმ მეუღლესთან ბოდიში მოიხადა. უთხრა: მეკობარი შემხვდა და ცოტა გადავკარითო. შეკდეგ დაიბარა: დღეს მცხეთაში მივიღივარ სამსახურის საქმეების გამო, ცოტა დამავიანდებაო და წავიდა.

ვიცი სადაც მიბრძანდები, მაგრამ ორივეს ჩავამწარებთო— გაიფლო გულში კესომ, მეუღლეს წერილზე არაფერი გაუმხილა და საღამოს გვირაბისაკენ გასამგზავრებლად მოემზადა.

* * *

— ჩემო სიცოცხლევ, როგორ აღტაცებით გელოდი— ჩაესმა ყურში ტკბილი ჩურჩული კესოს და მკლავები შემოეჭდო.

— ასე ჩემო ძვირფასო, მომეალერსე შენთვის ტანჯულ აგლაიტას— ჩუმიად გაიმეორა კესოს ტუჩებმა და „სატრფოს“ მხურვალე კოცნა უთავაზა.

— შენი ჭირიმე, ჩემო ბედნიერებავ, ერთ კვირაში ხელს მოვაწერთ და შენც ჩემთან სამუდამოდ გადმოსახლდები, — კვლავ ტკბილი ჩურჩული ჩაესმა კესოს. კესო, რომელსაც ეგონა, რომ თავის ქმრის მკერდზე არის მიყრდნობილი, სავსებით გაიტრუნა.

გარედან ვილაცის ფენისხმა მოისმა. ეხლა კი დრო არის, ალბათ მობრძანდება მაგის უმანკო აგლაიტაო“ და კესომ ჯიბის ელნათური გაანათა.

— ჰოი, უცბად წამოიყვირა კესომ და გაბოროტებული დაეშვა თავქვე.

კარგახნის მერმე გზაში ქმარი შემოხვდა.

— რა ამბავია, ქალო, რას მორბინარ, ხომ არავე მოგდედა, ან სად იყავი?— შეეკითხა გაცირვებული დაუ კესოს.

კესო სულს ძლივს იბრუნებდა, როგორც იქნა ამოილულულა ამხანაგ ქალთან ვიყავიო და თანაც დაუმატა: რატომ ასე ადრე დაბრუნდიო.

— სასაცილო საქმე მომივიდა, — უთხრა დაუმი.— წუხელის სასადილოდან გამოსვლისას მე და ჩემს მეგობარს და ჩემი სახელის მოზიარეს დავით ობოლაძეს, პორტფელები შეგვცვლია.. რა დაგემართა კესო, კესო, შენი ჭირიმე...

გულშემოყრილი კესო დაუს მკლავებზე გადაესვენა.

დავითა

პ რ ა ქ ე ზ ი კ ო ს ე ბ ი

თბილისის რკ. გზ. ინსტიტუტის ახალ შენობას, რომელიც ახლახან გადაეცა საექ პლატაციოდ, ჩამოეწვრა კედლები და სარემონტოა.

ნახ. გ. ისაევისა.



— რას გავს, ჯერ ერთი თვეც არ გახულო ექსპლოატაციაში ვადაცემიდან და უკვე სარემონტოა ეს შენობა.

— რას იზამ, პრაქტიკულად აჩვენებენ მომავალ ინჟინრებს, თუ რას ნიშნავს ცუდად აგებული შენობა.

ხიბლარ-წიფნარის და ლანირ-ხილარის (სამტრედიის რაიონი) კოლმეურნეების თანამშრომარეები აკაკი კაცაძე და შალვა ბარათელი ურთერთის ჯიბრზე, არ ფიქრობენ საზიარო წისქვილის შეკეთებას, რომელიც სადაცაა წაიქცევა.

ხიბლარელი

აკაკი კაცაძე

შალვა, შალვა შენსა მზესა, მაგ წისქვილი რა დღეშია, თავი გვერდზე მოღრეცია და წაქცევის საფრთხეშია.

შალვა ბარათელი

კაკო, კაკო მომისმინე, ეს წისქვილი ზიარია, შეკეთებას შენგან ითხოვს დარია თუ ავდარია.

აკაკი კაცაძე

შენიც არის, ჩემიც არის არც შენია, არც ჩემია,

თუ რემონტს არ გაუკეთებ თავზე მეხიც დაგცემია.

შალვა ბარათელი

შენი აზრი ფშუტეა და შენი სიტყვაც უტყებია, თუ არ ფიქრობ შეკეთებას, კისერიც მოგიტყებია.—

—:—

გაშლილია ბრძოლის ველი, ურთიერთის არ აქვთ შიში, წისქვილი კი ცრემლად დნება აღსასრულის მოლოდინში.

ტანტრაბეჩი

ნახ. ღონისა.



სახელი და ავნიცელატი

(თელავი)

— ხომ არ იცი, რას ეწოდება ელექტრონი?

— არ მახსოვს, მეონი რაღაცა ბალახი უნდა იყოს...

ძირულის (ზესტაფონის რაიონი) სრული სკოლა სკოლის დირექტორის ქორწილში მიქეფარად ამავ სკოლის მასწავლებლები ა. ჭარქაშიძე, მ. ღვალაძე და ა. გოგოლაძე სასწავლებელში მიწოდებენ მასწავლებლებს და გაკეთილებზე მივლი დღეს ეძინათ.

მასწავლებლები შემოკრბენ, ჰქონდათ ბჭობა და ცილობა: „დირექტორს ვსცეთო პატივი, ითხოვს ოჯახიშვილობა.

მაყრებად წავყვეთ ქორწილში, ვი ემოთ ჰურმარილობა, ვინც არ წამოვა შეურცხვეს ვაუკაცობა და ზრდილობა“.

შეიარაღდნენ მაყრები, გადაიდღღეს გულია, გასწიეს სადღეღოფლოსკენ, მზე მთის წვერს გადასულია.

მივიდნენ, გაშლილ სუფრაზე, დასძახეს კრიმინაქულია: —რასაც გადავკრავთ ჩვენია, რაც არა—დაკარგულია...

ღამე დაიწვა ცრემლებად, ღამემ დაჰკარგა ფერია, ქალაში ნისლი ჩამოწვა, აწითლდა მთების წვერია.

ადგნენ დასტოვეს მაგიდა, სთქვეს: არის წასვლის ჯერია, გასწიეს სასწავლებლისკენ— ვითომც აქ არაფერია.

მაგრამ ნუნუამ ყმაწვილებს მაგრად ჩასკიდა ხელია, ვერც გაახილეს თვალები, ველარც აწიეს წელია.

იწვნენ კლასებში, ხვრინავდნენ ვით საბერველი ძველია... ვნახოთ, განგანყოფილებამ იქნებ უცვალოს ფერია.

პიპიკო

შეგლეგ მან ხალი გაშალა

(სტუმნტოა საცხოვრებელი კამოს ქ № 19)

თითო ოთახში სულ ცოტა ათი-თოთხმეტი კაცია, არის მუდამ დღე ყვირილი, ჩხუბი და გაწამაწია.

ჩვენთვის კულტომოსახურება უნდა ითქვას, რომ „დიდია“ სხვა გასართობი არა გვაქვს, მარტო რადიო ჰკილია,—

მაგრამ ოთახში სიცივით აცახცახებდა... გალურჯდა, სახმო სიმების ანთება შეეყარა და დამუნჯდა.

ჩვენც გვაზარალა სიცივემ, გამგეს მოვთხოვეთ შეშა და დაპირებები გვესოლა, ჩვენც, გადავწყვიტეთ—გვეცადა.

შემდეგ მან ხელი გაშალა: „აი ვერ ხედავთ მზესაო? ყინვაა, მაგრამ მზეც არის, რა საჭიროა შეშაო“.

კალ. ზუმბაზური

ნახ. შროდატისა.

(„კოკოლილიანი“)
ქვეყნული
ბიბლიოთეკა



— ეს კაცი განთქმული პიროვნებაა: მან სულ წუთში ჩაძირა ოცი საბჭოთა კრესეტი და ტყვედ ჩაიგდო რამოდენიმე საბჭოთა დივიზია.

— ჯარების სარდალია?

— რის სარდალი! შავასის სააგენტოს რედაქტორია.



ამხანაგო ნიანგო!

სოფ. ზედა წიფლავეკის (ზესტაფონის რაიონი) ახ. ჟღანოვი კოლექტივის გამგეობამ მიწის საშემოდგომო-სახამთო გადაბრუნების გეგმა მხოლოდ 26 პროცენტით შეასრულა. მიწის სამაგეროდ გამგეობა დღეში ოცჯერ გადაბრუნ-გადმობრუნებს თვითონ გეგმას. განა გაკილებით უმჯობესი არ იქნებოდა გეგმის მაგივრად მიწა ებრუნებინა?

წიფლავეკელი

ამხანაგო ნიანგო!

უნდა მოგანსენოთ, რომ ჩვენმა ღვედელმა მამო კასიანე გაჩილიშვილმა (სოფ წვეა, ზესტაფონის რაიონის) მეტი მეტად ასწა ნიხრა: უბრალო მცალღებულს წესის აგებაში ას მანეთზე ნაკლებად აზიდებს. სულის ახანა, პან შვიდი, ნათლობა და ანისთანები ხომ ორას ათასი პროცენტით გააჟიდა!

ძვირფასო ნიანგო! თქვენის ღაცა კურთხევით ხომ არ შეძლება მადლობა გამოვუცხადოთ ადგილობრივ „მეკის“ ორგანიზაცია?

ივანძე

ამხანაგო ნიანგო!

სამტრედიოში ახალი სინათლის ქუჩაზე მოთავსებულია სასამართლოს შენობა, რომლის კიბე ისე დანგრეულია, რომ მა-

ძიგბელნიც და შოპასუხენიც გვერდებს იმტერვევენ ასვლა ჩამოსვლისას. პირ დად მე დაზარალებულმა მაძიებელმა, ამ კიბეზე ორი ნეკნი ჩინტვრეიე, კოჭი მოვიტეხე და მკლავიც ვიღრძე. აირიგად გეხლი ორმაგად დაზარალებული, გოხოვთ განმინარტოთ, ეს მკორე ძიება სამტრედის სასამართლოს კომენდანტის მიმართ ამავე სასამართლოში შევიტანო, თუ თქვენ ან შემოვიტანო?

უნიკნო უილინი

ამხანაგო ნიანგო!

ახაშის რაიონში არის სოფელი ხაცაკოვო. ამ ოთხიოდე წლის წინათ, განათლების საქმის ხელმძღვანელებს დიდებული იდეა დაებადათ: საშუალო სკოლის შენობა ავაგოთ ნავსაკოვოშიო. თქმა და ასრულება ერთი იყო. 936 წელს ჩაუყარეს საფუძველი და აგურებიც მოხიდეს. მეორე წელს წინა იდეა ახალმა იდეამ შესცვალა: ამოვეართო საძირკველიო. ამის თქმა და ასრულებაც ერთი იქნა: საძირკველი მყის ამოყარეს. ჟამი გაზადა და კვლავ მოვიდა იდეა, ახლა სკოლის თვის არ გეცალიაო. ამის თქმა და ასრულებაც ერთი იყო: ის საწყალი შენობა მიატოვეს, ხოლო არასრული სკოლის ბავშვები თავისი მასწავლებლებით ძველი, უვარგისი შენობის კედლებში სიცივისა-

გან ძაგაგებენ... ძველ კედლებთან ერთად.

ამხანაგო ნიანგო! იქნებ თქვენ მოაწოდოთ ერთი მკვეთარი იდეა იმ ორკანთებს, რომლებმაც ოთხი წლას განმავლობაში სკოლის საძირკვლია ამოყარაზე მეტი ვერაფერი მაზერხეს.

ქარბუქი

ამხანაგო ნიანგო!

გახეთ „კომუნისტში“ იყო გამოქვეყნებული, რომ ჟურნალ „ნიანგზე“ ხელმოწერა გაგრძელებულია 20 იანვრამდე. ჩვენ, ცაიშელი მოქალაქენო, ამ განცხადების საფუძველზე გულუბრყვილად გამოცხადდით ცაიშის ფოსტის გამგე ამბ. სოლომონ დავითაისთან და გულუბრყვილად მოვთხოვეთ ხელმოწერის მიღება.

— რა გულუბრყვილობაა, — გულუბრყვილათ გვიპასუხა სოლომონმა, — ნუთუ გჯერათ ასეთი გულუბრყვილო განცხადება და გულუბრყვილად გსურთ გამოიწეროთ ჟურნალი?

— კი მაგრამ, განცხადება რომ წაიკითხეთ გახეთში? — გულუბრყვილად შევბედეთ ჩვენ.

ძია ნიანგო!

პირველი კლასის სახელმძღვანელო წიგნის, — „დედაენის“ მეორე ნაწილში მე-58 გვერდზე ტრაქტორის შესახებ ასეთი ლექსი არის მოთავსებული:

„ტრაქტორო, შენი ჭირიშე, რომ ძლიერი ხარ ღონითა, არც თევა-ქერი გჭირდება და არც ბალახი კობნითა“.

ამ წიგნში, ძია ნიანგო, ბევრი გამოცანებია. სუყველა გამოვიცანით, მაგრამ ამ „ბალახი ძოვნიტას“ ვერაფერი გავუგეთ. იქნებ თქვენ მაინც გამოიცნოთ თუ რას ნიშნავს ამ სიტყვის „ღრმა შინაარსი“, ძვირფასო ნიანგო


ხილნაღელი მასწავლებელი

ორი ეპიზოდი

ნახ. გ. ისავეისა.




ის ჭაბუქი იყო როცა სახადილოთ ჩადიოდა, ჩავიდა და მოლოდინში ხანა, ხანზე გადიოდა.



დიდხანს, დიდხანს მოელოდა, მოუტანეს, ისადილა, მაგრამ უკან ვერ ბრუნდება უყვარჯნოლ ის ადგილად.

ცხელ-ცხელი ამბები



ნავსიანი დღე

ლესეჭინის (ჩხოროწყუს რაიონი) ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბუფეტის გამგემ დემენტი ბასილაიამ გუშინ მთელი დღის ნახალტურალის შეჯამების დროს გამოარკვია, რომ ამ დღეს თავის სასარგებლოდ მარტო 5 კილო პური, 2 კილო ხორცა, ნახ. კილო ყველ და 49 მან. 80 კ. ფული დარჩენოდა. ნავსიანი დღე შემხვდაო—მწუხარედ ჩაილაპარაკა ბასილაიამ.

კ. ლესეჭინელი

საწყალო დალაპი

ლესეჭინის—საავადმყოფოში გამოცხადდა დაჭრილ-დასახიჩრებული პარტიკანერი ალიოშა პობოვი, რომელმაც განაცხადა: ჩემს დაჭრაში ბრალი არავის არ მიუძღვის, მე თვით მოვიპარე პირი ჩემი საკუთარი სამართებლით და ასეთ დღეში ჩავარდიო.

კოჩია

გულკეთილი ფოსტალიონი

სოფ. ლედვას (ტყიბულის რაიონი) ფოსტალიონმა ილუშა დამკარგველადემ წუხელ საღამოს მოქ. კორნიოზ ფირცხალაძეს უკვე ჩააბარა მის მიერ გამოწერილი გაზ. „კომუნისტი“ იანვრის ნომრის ნახევარი ცალი, თანაც დაუმატა: ახლა ეს იყოფინე და ამ თვეში ყოველმხრივ ვეცდები ერთი ნომერი გაზეთი მთლიანად ჩაგაბარო.

სიმართლე

„მომარაგება“

სოფ. ლედვას (ტყიბულის რაიონი) მალაზიის ნოქარმა ვანო რიჟაძემ სკოლის მოსწავლეთათვის უკვე შეიძინა და დაარიგა სამი ცალი ნახშირის ფანქარი, ერთი დახეული რვეული, ორი წვერმოტეხილი კალამი, ერთი თავმომტერეული კალმისტარი და 0,005 ლიტრა ანწლის მელანი.

ს—ლე

შხადუკი შხმთხმვა

გუშინ სოხუმის ქალაქის აბანოში უდროოდ გაფინანსირებული მოქალაქე, რომელთა ვინაობის ზუსტი გამოარკვევა დაივალა ამავე აბანოს დირექტორმა პოლიექტოზ კანკალაძემ.

მარკოზი

შხმთხმვა ფოსტაში

სოფ. ფოცხოს (ცხაკიას რაიონი) ფოსტაში სამსახურის ასრულების დროს ჭერის ჩამონგრევის გამო, კისერი ელრძო ამავე ფოსტის გამგეს ნოხო ფომფიას.

ა. ფოცხოელი

ბაჭითი ბაგვა

წუხელის ბორჯომის შუმის ქარხნის მუშათა კლუბში დაწყებული კინოსენსი სწორედ მამლის ყივილზე გათავდა. რისთვისაც ადგილობრივმა მუშა-მოსამსახურებმა „ულრმესი მადლობა“ გადაუხადეს უკვე ღრმა ძილში მყოფ კლუბის გამგეს—სიპიტოს და სამსახურში პირდაპირ კლუბიდან წავიდნენ.

მაყურებელი

შურისძიება

თავპირდამტერელმა და გვერდებშილეწილ-მოლეწილმა მდ. ჩხოუშის ხილმა ხარ-კამეჩებთან ერთად მდინარეში გადაუძახა ზუგდიდის რაისავზო განყოფილების გამგე ძიკი უქნარია, რომელსაც საავადმყოფოში „ხილუს შეკეთებუს, თორემ კვლავს დამტერეუს“ წამალი დააღვეინეს.

ბიბი ალშიბაია



იპოლიტანს (აქვე, სტუდენტთა ქალაქი.) ვათავსებთ თქვენგან გადმოგზავნილ ლექსს „სტუდენტის გაჭირვებას“:

ღამე შფოთვით გავატარე,
ფიქრი გვიღარ შეგწყვიტე,
წინ დამიდგა კითხვა რთული:
მაკო სჯობს თუ ელპიტე.

მაკო სახეცქრიალაა,
მომხიბლავი თვალითა,
ელპიტე კი ჯვირანს გავს
გავსილ მთვარესავთა.

გამოცდაზე რომ მივედი,
ეშმაკებმა გამთვალა,—
პროფესორმა დამიწერა
ორიანი შავთვალა.

ალბად „ეშმაკები“ მიტომ გადაგდგომიათ,
რომ ბევრს ფიქრობთ „ანგელოზებზე“.

დიომილანს (ხარაგოული) წერა გეხერხებათ,
მაგრამ ვინაიდან თქვენგან მოწოდებული მასალა მეტად წვრილმან ფაქტს შეეხება, ამიტომ არ იბეჭდება. მიუხედავად ამისა ნიანგმა

თქვენს მასალას ასეთი საწუგეშო ექსპრომტი-დააწერა:

არ გიბეჭდავთ დიომიდე,
გულს ნუ იტებ, სცადე კიდევ.

გურგინ ოღლია (იქვე) მოგვეყავს ნაწყეტი
თქვენი ლექსიდან, რომელშიც ხარაგოულის
რკინიგზის ბალის „პოეტურ“ სურათის მოცემას
ცდილობთ:

სასადილოდან გამოგელ,
ღამე იყო და ბნელოდა.
ჩემ თვალწინ თურმე ტბა იდგა,
ტბაში ინგებიც მდებოდა.

ასანთით საჯდომს ვეძებდი,
ვერ ავიცდინე ხიფათი—
უცებ ტლაპოში ჩავარდი,
ტალახში ხელებს ვიბანდი.

„ყველანი მიმალულიყვნენ“
ნმა ვილასათვის გამეცა?
იხვები შემომხსიენ,
ბაყაყი თავზე დამეცა.

ახია თქვენზე: რა გებაღებოდათ ამ გაყინულ
ზამთარში?!

კ-ხ (სადგ. სვირი) საინტერესო იყო მოგე-
წერათ თუ რა არის იმის მიზეზი, რომ ფოს-
ტის განყოფილების გამგე კოწია დიდიძე
„ყველა თანამშრომლებს ეჩხუბება“. ყოველ
შემთხვევაში აშკარად სჩანს, რომ ევროპის
სახელმწიფოთა ომს თქვენი ფოსტის მუშაკებ-
ზეც თავისი გავლენა მოუხდენია. ნიანგი წინა-
დადებას გაძლევეთ მოიწვიოთ საზავო კონფე-
რენცია პროფრწმუნებულის კუთხის დარბაზში.

ვანტანგიძე—ჩანტანგიძეს და „პაციენტს“
(აქვე) შემოიარეთ რედაქციაში.

აშხ. შ. სულამანიძეს, ი. პავლიაძეს,
ბ. ბეჭაურს. ი. წილოსანს, ოლაშვილს, ვა. ჯ.
გურგინიძეს, ელ. ალხაზაშვილს, ი. ბარნავს
ებრალიძეს:

მოგვაწოდეთ თქვენი ზუსტი მისამართი, ჰო-
ნორარნი გადმოგვგზავნებათ

ახალგაზრდა მხატვრების საყურადღებოდ:
მოგვაწოდეთ მასალები ახალგაზრდა მხატვ-
რების გვერდისათვის.



მწერე მოლოდინში

ფინეთის უდიდეს საწარმოს—მატკლის ფაბრიკის ერთერთი მებატრონე ინგლისელი დონერი ჯოჯი
ლი ფინელია. იგი იყო ფინეთის პირველი ულზო-ლანდონში და შემდეგ გაინგლისელდა.

დონერი:—ყოფილი ფინელი რომ ვარ, ეს არაფერია. მე მხოლოდ ის მამწარებს, რომ ყოფილი მებატრონე შევიქნები.